

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის აღმასრულებელ
დირექტორს, ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

თქვენი მიმდინარე წლის 01.08.2018 წლის #3-243 წერილის პასუხად გეთანხმებით, რომ ქვეყანაში მართლაც არ მიმდინარეობს საფრთხეებთან დაკავშირებული რისკის შეფასების მეცნიერთა მომზადება ამ პროცესის მეთოდოლოგიების შესწავლის მიზნით, რაც აუცილებელია მიღებული შედეგების სისტემატიზაციისა და განუსაზღვრელობის დონეების შემცირებისათვის.

ასევე, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოში მოსახლეობის „ფაქტიური კვების“ შესწავლის მიზნით EFSA-ს მიერ რეკომენდირებული სტანდარტებით გათვალისწინებული კვლევების ჩატარება, რის შესახებაც ცენტრმა არა ერთხელ მიმართა სამინისტროს (იხ. დანართი1).

თქვენი მოსაზრება, რომ „ცენტრის მიერ 2016 წლიდან დღემდე სურსათთან დაკავშირებული არც ერთი რისკის შეფასება არ არის დასრულებული“ სიმართლეს არ შეეფერება, 2016 წელს ცენტრმა განახორციელა რისკის შეფასების შემდეგი პროექტები:

1. სურსათში გამოყენებული პოტენციური საფრთხის შემცველი საკვებდანამატები;
2. ფრინველის გაყინულ, მექანიკურად განცალკევებულ ხორცში salmonella-ს რისკის შეფასება;
3. სურსათისმიერი არაორგანული დარიშხანის რისკის შეფასება საქართველოს მოსახლეობაზე;
4. პალმის ცხიმთან დაკავშირებული პოტენციური რისკის შეფასება.

და ოფიციალურად მიაწოდა კანონით დადგენილ რისკის მართვის ორგანოებს (იხ. დანართი 2,3,4,5). აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომები განთავსებულია ცენტრის ვებ გვერდზე.

ექვს იწვევს მოსაზრება 2017 წელს ცენტრის მიერ 5 საკითხზე დაწყებული რისკის შეფასების „ბოლომდე ვერ მიყვანა“-სთან დაკავშირებით. გაცნობებთ, რომ 2017 წელს მეცნიერთა მიერ განხორციელებული იქნა რისკის შეფასების შემდეგი პროექტები:

1. საქართველოს წყალმომარაგების სისტემებით მიწოდებულ სასმელ წყალში არსებული რისკის შეფასება;
2. ანტიბიოტიკებით სასურსათო პროდუქციის დაბინძურებასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების რისკის შეფასება;
3. აკრილამიდის რისკის შეფასება;
4. სურსათში ტყვიის პოტენციური საფრთხის რისკის შეფასება.

(იხ. დანართი 6,7,8,9)

რაც შეეხება „მონიტორინგის განხორციელებისა და შედეგების რისკის შეფასების მიზნით გამოყენების შესაძლებლობები და განუსაზღვრელობების“ პროექტს, კვლევის სირთულესთან დაკავშირებით მისი განხორციელება გადატანილი იქნა 2018 წლის ბოლოსთვის, ხოლო ავტორი დოქ. დ. დულაშვილი პროექტის შედეგების განუსაზღვრელობების დონის შემცირების მიზნით მივლინებულია გერმანიის რისკის შეფასების ფედერალურ ინსტიტუტში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ რისკის შეფასების „სამეცნიერო დასკვნას“ არ ახლავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის (როგორც ერთ-ერთი მეცნიერის) დასკვნა, რაც არანაირად არ ზღუდავს დამოუკიდებელ მეცნიერთა რისკის შეფასების დოკუმენტის ლეგიტიმურობას.

სასურველია, რომ თქვენი გამოცდილების მქონე პირები, განიხილავდნენ კოდექს ალიმენტარიუსის CAC/GL 62-2007 - „სურსათის უვნებლობისთვის მთვრობის მიერ რისკის ანალიზის გამოყენების სამუშაო პრინციპებს“ რისკის შეფასების პოლიტიკის 17 პუნქტის მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის შეფასების პოლიტიკის განხორციელებას რისკის მმართველების მიერ. (2018 წელს რისკის მმართველების მიერ ჯერ-ჯერობით ინიცირებული არ არის რისკის შეფასების პოლიტიკა).

მართალია, რომ ეპიდემიოლოგიური კვლევის სიმწირე, მონიტორინგის ნიმუშების არაპრეზენტატულობა და ფაქტიური კვების მონაცემთა არ არსებობა ხელს გვიშლის რისკის შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიის ექსპოზიციის განხორციელებაში. მაგრამ ევროპელ ექსპერტებთან შეთანხმებით, ჩვენს მიერ ევროპული ქვეყნების მონაცემთა ბაზიდან მიღებული კვლევის შედეგების მახასიათებლების რანჟირებისა და შედარებითი შეფასების ჩატარების გზით ხორციელდება „სავარაუდო ექსპოზიცია“, რაც საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, როგორც სისტემური მიდგომის მნიშვნელოვანი ფორმა. ასე, რომ

ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის საკითხთან დაკავშირებით ევროპელ ექსპერტებს, კითხვები არ გააჩნიათ (იხ. დანართი 10).

გაუგებარია რატომ მძაფრდება კითხვები ცენტრის ანგარიშების გაცნობის შემდეგ, მითუმეტეს რომ თქვენ გაცნობილი ხართ ზემოთ დასახელებულ სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალს და მათი რეკომენდაციების მომზადებისა და კონსულტაციების პროცედურებს. აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომთა ჩამონათვალთა შორის პირველად რისკის შეფასების სამსახურის არსებობის პერიოდში განხორციელებულ იქნა სურსათში ტყვიის რისკის შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადების ნოვატორული ფორმა, რომელმაც სპეციალისტების მიერ დაიმსახურა აღიარება და რომლის განხილვაზეც ბატონი ვახტანგ კობალაძეც იქნა მოწვეული... (იხ. დანართი 11).

ასევე ცენტრის 2017 წლის ანგარიში, რისკების შეფასების ნაწილში რედაქტირებულია და ანგარიში ატვირთულია ვებ გვერდზე.

რაც შეეხება ურთიერთთანამშრომლობის საკითხს, ცენტრის რისკების შეფასების სამსახური მზად არის თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დროს ორგანიზება გაუკეთოს სამუშაო შეხვედრას, სადაც შესაძლებელი იქნება უფრო სიღრმისეულად იქნას განხილული თქვენთვის საინტერესო საკითხები და შემუშავდეს რეკომენდაციები აღნიშნული სფეროს შემდგომი სრულყოფის და საერთაშორისო სისტემასთან დაახლოების მიმართულებით.